საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

58110-08-03-2-202206271714

N 08-03/58110
27/06/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2022 წლის 2 ივნისის №4926/3-53/22 წერილის პასუხად, კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ 2022 წლის 24 თებერვლიდან 9 ივნისამდე, როგორც საქართველოს საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე, ასევე საქონლის გაფორმების ადგილებზე გატარებული ღონისძიებების შედეგად, სანქცირებული საქონელი/სანქცირებული პირი გამოვლენილია 92 შემთხვევაში, რომელთაგან: უკან დაბრუნებულია რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსის დანიშნულებით გადაადგილებული ტვირთი – 36 შემთხვევაში, ხოლო 56 შემთხვევაში (მათ შორის რეექსპორტის 13 შემთხვევაში შეჩერებულია შემდეგი საქონელი: გემის ნაწილები; რძის პროდუქტების საწარმოო დანადგარის ნაწილები; თიხამიწის მილი და მონობლოკი; კორპის საცობი; ლაბორატორიული რეაგენტები/გამრეცხი საშუალებები/ლაბორატორიული პლასტმასის ნაწარმი; ხსნარი აკრილის ან ვინილის პოლიმერების ფუძეზე; საკვები დანამატები/ხილის სასმელი/ტუალეტის წყალი; სადიაგნოსტიკო ტესტ სისტემები/საკალიბრაციო ხსნარები; რეფლექტორი/ალუმინის რადიატორი; კომპიუტერული ტექნიკა; ავტონაწილები; მობილური ტელეფონები) ტვირთების გადაადგილება შეჩერებულია (აქედან 1

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261444
ელ-ფოსტა: info@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261444
E-mail: info@mof.ge
website: www.mof.ge

ფაქტია – რუსეთის ფედერაციის მიმართულებით არადეკლარირებული საქონლის („კომპიუტერის მაინერის პლატები“ 307 ცალი და 20 ერთეული ფრეონით დატვირთული ბალონი) გადაადგილებისა, რომლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 146 210 ლარი და საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს).

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი